წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი ჯარიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 2—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

ხუთშაბ. 21 სექტემბერი. 1922 წ.

№ 98 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 98

ოსმალეთის გამარჯვებით გამარჯვებული საფრანგეთი და მისი ხრიკები.

უკანასკნელ ცნობებიდან ჩვენ ვიცით, რომ ანგორის მთავრობის განზრახვაა, განაგრძოს ომი ბერძნების დამარცხების შემდეგაც და ოსმალეთს უკან დაუბრუნოს ქ. სტამბოლი, ადრიანოპოლი და დარდანელის სრუტეები. ამისათვის ის თავს უყრის კიდეც ქ. სმირნაში ჯარებსა და ემზადება საბოლოო ბრძოლებისათვის.

ოსმალეთის ეს განზრახვა სასიკვდილო ლახვრათ ეცემა გულში ინგლისს და აი, კიდეც მან, რომ არ დაჰკარგოს სტამბოლი და დარდანელის სრუტეები, ეს მთავარი ბაზები მისი ძლიერებისა აღმოსავლეთ კოლონიებში, სცდილობს რათაც არ უნდა დაუჯდეს ეს, ოსმალეთს ხელი აალებინოს თავის განზრახვებზე, ყოველ-შემთხვევაში ნებსით მაინც არ დაანებოს.

ამ მიზნით ინგლისის მთავრობა აძლიერებს თავის ჯარებს სტამბოლში ახალი ნაწილების გადასხმით, ხოლო ძლიერი სამხედრო ესკადრას სრუტეებში, რომელსაც გადამჭრელი როლი შეუძლიან ითამაშოს მოსალოდნელ ომში, ებრძანა მოემზადოს საომრათ.

როგორი პოზიცია უჭირავს ამ შემთხვევაში საფრანგეთს ინგლისისადმი? ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის მთელი ყურადღება არის მიქცეული გერმანიაზე და მასზე გაწერილ კონტრიბუციის პრობლემაზე. მაშინ როცა საფრანგეთი მოწადინებულია მთლად გაანადგუროს გერმანია უამრავი კონტრიბუციების გამოწოვით და ამნაირათ ისე დაასუსტოს, რომ მისგან, როგორც ისტორიულ მტრისაგან, მომავალში არავითარი საფრთხე არ მოელოდეს, ინგლისი წინააღმდეგ, როგორც ჩვენ უკვე ამაზედ ვსწერდით, მოსურნეა რაც შეიძლება გერმანიას შეუმსუბუქოს ეს მძიმე ხარკი და ამნაირად, ის ააცდინოს ამ კატასტროფას.

ამით ინგლისს უნდა გერმანია, როგორც ბაზარი, როგორც მსოფლიო ომამდის იყო ეს, კვლავ დაუბრუნდეს მას, რომ ამით ცოტათი მაინც შეანელოს ის მწვავე ეკონ. კრიზისი, რომელიც სუფევს დღეს ინგლისში საქონლის მოჭარბებულათ დამზადების გამო.

ამ განზრახვით ის ხელს უშლიდა საფრანგეთს გერმანიის დამხობაში.

საფრანგეთი ამას ხედავდა, და აი, მანაც, სამაგიეროს გადახდით, იწყო ოსმალეთისათვის ხელის შეწყობა, და გაამარჯვებინა კიდეც.

და დღეს, როდესაც გამარჯვებული ოსმალეთი არ სჯერდება მარტო ანატოლიას და ის მიისწრაფვის სტამბოლის და სრუტეების უკან დაბრუნებისაკენ, არ შეეძლო ამისთვის სერიოზული ყურადღება არ მიექცია ინგლისს. და აი მანაც, გამოგზავნა რა, სრუტეების გასამაგრებელი ახალი ჯარები, მოლაპარაკება გამართა თვით საფრანგეთთან ერთიანი პოზიციის დაჭერის შესახებ.

ამით კი საფრანგეთის კომბინაციები ფრთებს ისხავს და ამას ეხლა საშვალება ეძლევა, აღმოსავლეთის საკითხის გამწვავების გამო, ჩიხში მომწყვდეული ინგლისი, დაიყოლიოს თავის ნებაზე გერმანიის საკითხების მიმართ, და ამნაირად ის (გერმანია) სავსებით გაანადგუროს, როგორც ფიზიკურად, ისე ეკონომიურადაც. და დარწმუნებული იმაში, რომ ინგლისი გერმანიის საკითხში მას არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს შემდეგში, კიდეც აგზავნის ინგლისთან ერთად თავის ჯარებს სრუტეების გასამაგრებლად.

ძნელია თქმა, თუ რა ნაყოფს გამოიღებს შემდეგში ინგლის-საფრანგეთის ეს დიპლომატიური ხრიკები, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ, საფრანგეთმა მოხერხებულათ გაიმარჯვა, რის შედეგებიც მალე სულ მალე გერმანიას სასტიკ რისხვათ დაატყდება თავს

გერმანიას კი მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს, ისარგებლოს აღმოსავლეთის ამ დიდი ამბებით და ოსმალეთ-საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, წინ აღუდგეს ამ მის გამანადგურებელ ანტანტის მუხანათობას.

მაგრამ შესძლებს გერმანიის დღევანდელი მხდალი მთავრობა ასეთ გამბედაობას? თავის თავად ცხადია ვერა.

მაშ გამოსავალი მხოლოთ ერთშია: თვით გერმანიის მშრომელი ხალხის ამოძრავებაში და ძალა-უფლების გამოცხადებაში, საბჭოთა რესპუბლიკები მთელი თავისი ძლიერებით დაეხმარებიან მაშინ მას, და ამნაირად მას ააშორებენ იმ საშინელ მომავალს რომელიც მოელის მას გამძვინვარებულ საფრანგეთის იმპერიალიზმისაგან.

პ ა ნ ი.

უნდა დროზე შეუდგეთ საქმეს.

გაზ. „ზარია ვასტოკას“-ს მოწინავე ამას წინად აღნიშნავდა, რომ წითელ ჯარისთვის კარგი ბინების და პირობების შექმნა მოვალეობათ აქვს არა მარტო სამხედრო უწყებებს, არამედ საბჭოთა ყველა აპარატებს და პარტიულ ორგანიზაციებს.

ეს, რომ ასე არის ყველასათვის აშკარაა, მით უმეტეს ჩვენი პარტიულ მუშაკებისათვის.

აგრეთვე ჩვენი წითელ ჯარის გაჯანსაღების საქმეში ჩათრეული უნდა იქმნას საზოგადოებრივი დაწესებულებანი და ორგანიზაციები, ისე წარმოუდგენელია ჯარისთვის ნორმალური პირობების შექმნა. თვითეული პატიოსანი მოქალაქე საბჭოთა რესპუბლიკისა დაინტერესებული უნდა იყოს ჩვენი წითელი ჯარის გაჯანსაღების საკითხებით.

ეს საკითხი დღეს უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს, როცა საქართველოში სდგება ჯარი, რომელიც ითხოვს უსათოდ დიდ ხარჯების გაღებას.

ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოს შეუძლიან ჯარის შენახვა და მისი უზრუნველყოფა, მაგრამ სასურველია და მასთან აუცილებელიც, ჩვენს წითელ ჯარს ჰქონდეს მიქცეული ყურადღება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივაც. ეს ერთის მხრით მორალურად ამხნევებს და ამტკიცებს ამ წითელ არმიელებს (როცა ისინი ხედავენ, რომ წითელი ჯარი საზოგადოების ყურადღების საგნად არის გადაქცეული). მეორე მხრით კი ჯარს ეძლევა მატერიალური დახმარება რაც ეს უთუოდ სახელმწიფოს დახმარებასაც ნიშნავს.

წითელ არმიელმა უნდა იცოდეს ის, რომ ჩვენ მას ვეფერებით და კარგათ ვეპყრობით არა მარტო მაშინ, როცა რაიმე გასაჭირი გვადგია კარს, არამედ მაშინაც, როცა ამ უკანასკნელის აჩრდილიც არ არის და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს.

ამისთვის წითელი ჯარის-კაცები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მას არ აკლდეს ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, ბინის განათება და ზამთარში სითბო.

ეს საკითხი დღეს თავის სიგრძე სიგანით სდგას ჩვენს წინაშე და დღეს მაინც გვეძლევა საშუალება მისი უნაკლოდ შესრულებისა.

პირველ ყოვლისა შეფები უნდა ამოძრავდნენ. დღეს თითქმის ყველა ყაზარმებს გენერალური რემონტი ესაჭიროება, რომელბიც დანგრეულია და გაძარცულია მენშევიკების გაქცევის დროს.

ამ მხრივ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ სასურველი ნაბიჯი გადასდგა. ჩვენ ამ დღეებში ველით მის ცხოვრებაში გატარებას.

ი. მეგრელიძე.

დღევანდელი ცნობები

საბჭოთა რუსეთში.

რუსეთის ყველა საქონელი, როგორც შინა მრეწველობის ისე ფაბრიკა ქარხნების ლეიბციგის ბაზრობაზე მთლად გაყიდულია. არის რამოდენიმე სავაჭრო ხელშეკრულება, დადებული საზღვარ გარეთ რუსეთის ნედლი მასალის გატანის შესახებ.

——

საბჭოთა უკრაინამ ოსმალეთის ჯარში გაგზავნა წითელი ჯვრის რაზმი.

——

მთელ რუსეთში შეკრებილია თითქმის ნახევარი სასურსათო გადასახადისა.

——

უკრაინის ყველა ქალაქებში და სამრეწველო სოფლებში უმაღლეს აღმასკომის დადგენილებით ეწყობა რადიო-სადგურები.

——

კონტრ რევოლიუციონერების დასჯა.

ამ დღეებში უკრაინის უზენაესმა რევ-ტრიბუნალმა გაარჩია 18 კაცის პეტლიუროველ. საქმე, რომლებსაც ბრალდებოდათ აჯანყებების მოწყობა ხარკოვის გუბერნიაში. ბრალდებულნი დამნაშავეთ იქნენ ცნობილნი, რის გამოც ხუთი მეთაური უკვე დახვრიტეს.

შეინანია.

საზღვარ-გარეთიდან რუსეთში დაბრუნდა პეტლიურას გენერალი მარტიუნიკი, რომელმაც შეინანია თავისი ცოდვები რუსეთის რევოლიუციის წინაშე ჩადენილი და ითხოვა პატიება. საბჭოთა მთავრობამ ის გაანთავისუფლა ყოველგვარ პასუხის მგებლობისგან.

მტერი დამარცხებულია.

რუსეთის უმაღლესმა აღმასკომმა და ცეკამ გამოაქვეყნეს დამშეულებისთვის დახმარების აღმოჩენის შედეგები: დამშეული იყო 18 გუბ. პურის ნაკლებობა გამოიხატებოდა 900 მილ. ფუთში. დამშეულ რაიონებში გაგზავნილ იქნა: 27 მილ. ფუთ. მცხოვრებლების გამოსაკვებათ და 54 მილ. ფუთ. სათესლეთ. დამშეულებისათვის იქმნა მოწყობილი სხვა და სხვა საზოგადო სამუშაოები. დამშეულ გუბერნიებიდან ევაკუაცია უყვეს 900 ათას სულს. შემოწირულებებმა და გადასახადებმა მოგვცეს 14 ტრილიონი მანეთი. ჩამორთმეული საეკლესიო ნივთების გაყიდვით შევიტანეთ 10 მილ. ფუთი პური. წით. არმიამ შემოსწირა 30 მილ. ფ. პური. საზღვარ გარეთის მუშებმა მოგვცეს 1 მილიარდი მარკა 700 ათასი ფ. სურსათი.

შიმშილი მოტეხილია. აღმასკომი და ცეკა შემომწირველთ უძღვნიან მხურვალე მადლობას. ეხლა დამშეულთა დამხმარე კომისია გაშვებულია, და იქნება ახალი კომისია, რომელიც უნდა ებრძოლოს შიმშილობის მხოლოდ ნაშთებს.

ბაქოს ბაზრობა.

15-სექტ. გაიხსნა ბაქოს ბაზრობა. განუწყვეტლივ მოდის სხვა და სხვა საქონელი, რადგანაც ბაზრობას ფართე ხასიათი მიეცა, ამისთვის აღძრულია შუამდგომლობა, რათა ბაზრობის ვადა ერთი თვის მაგიერ, გაგრძელებულ იქნას თვე—ნახევარს. გამოირკვა რომ კერძო პირთა და ფირმების საქონელი იქნება უფრო მეტი, სახელმწიფოებრივი დაწესებულებების საქონელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატასტროფა დასავლეთ საქართველოში.

მშვენიერი მოსავალი იყო მოსალოდნელი დასავლეთ საქართველოში, მაგრამ არა ჩვეულებრივმა ქარიშხალმა და წვიმებმა, რომელიც გაგრძელდა რამოდენიმე დღეს, ნათესები სულ გაანადგურა, რის გამოც **იმერეთს, გურიას** და სამეგრელოს ახლო მომავალში შიმშილობა მოელის. ზარალი განსაკუთრებით დაბლობ ადგილებშია. დახოცილია შინაური ცხოველები, დანგრეულია და ნიაღვრებს მიერ წაღებულია ურიცხვი სახლები, არის ადამიანთა მსხვერპლიც.

სურათი შემაძრწუნებელია. ერთი შეხედვით მსოფლიო წარღვნას მოგაგონებს კაცს. ასეთი ქარიშხალი და წყალდიდობა ჯერ საქართველოს არ ახსოვს. ახლა დასავლეთი საქართველო მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენს. ზარალის აღნუსხვა შეუძლებელია. განსაკუთრებით დაზარალდა ქ. ჭიათურა, სადაც მილიონი ფუთობით შავი ქვაა წაღებული წყლების მიერ დანგრეულია ქარხნები და სხვა შენობები, ბევრი ოქრო და დროა საჭირო რომ ჭიათურა თავის წინანდელ სახეს დაუბრუნდეს. დასავლეთ საქართველოს 100-ათასი მცხოვრებნი დარჩნენ უბინაოთ და ულუკმო—პუროთ სუსხიან ზამთრის წინ.

საჭიროა ჩქარი და დიდი დახმარება

ახალი გაზეთი.

ახალქალაქში ამდღეებში რუსულ და სომხურ ენებზე გამოვა ახალი გაზეთი.

ბანდის ფარეშს ბოლო მოეღო.

დარალეთის მაზრაში ლიკვიდაცია უყვეს ბანდებს, რომლებიც სპარსეთიდან გადმოვიდნენ სომხეთში.

(გაზეთებიდან)

შეფების მიერ შემოწირულთა ნაწილი „კრასნი ვოინის“ სასარგებლოთ.

„კრასნი ვოინის“ ოთხი წლის თავზე კავკ. ცალკე არმიის სამხედრო საბჭომ გამოსცა ბრძანება № 1391, რომლის ძალითაც არმიის ყველა ნაწილებს ევალებათ სარედაქციო საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლათ არმიის მასშტაბში, რომლებიც ღებულობენ უფასოთ ჟურნალ-გაზეთებს, შეფების მიერ ნაწილებისადმი აღმოჩენილ დახმარების 10%.—გადასდონ რედაქციის სასარგებლოთ.

რადგან დღეს სარედაქციო საბჭო განიცდის ფინანსიურ კრიზისს ცენტრიდან ფულის მიუღებლობის გამო, ამისთვის „კრასნი ვოინის“ რედაქცია სთხოვს ყველა ნაწილებს, რომლებზედაც ვრცელდება ეს ბრძანება, გამოგზავნონ საჩქაროდ სექტემბრის წილი ხვედრი.

სვანეთში.

ძალიან მინდოდა მენახნა სვანეთის ბუმბერაზი მთები, რომლის შესახებაც ბევრი მსმენოდა ქებანი და ამის საშუალებაც მომეცა. ეს იყო ა. წ. აპრილის რიცხვებში, როდესაც ჩვენი მესამე ლეგიონი იქმნა გაგზავნილი იქ, ქუთაისიდან პროვოკატორების—მიერ სვანეთში მოწყობილ არეულობის მოსაგვარებლად. ჩავედით ქ. ცაგერში. 12 აპრილს ასეულმა მიიღო ბრძანება გადასულიყო ლენტეხის საზოგადოებაში. სვანეთში ჩვეულებრივ ქართულ სტუმარმოყვარეობით შემოგვეგებენ და მიგვიპატიჟეს ჩვენთვის დამზადებულ ბინებზე. შემდეგ დაგვგზავნეს ოცეულები სხვა და სხვა სოფლებში.

სვანეთ—ლეჩხუმის საზღვრებათ ითვლება „მურის ხიდი“ ცაგერის მახლობლად. მური ვიწრო ხეობაშია მდინარე ცხენისწყალზე მიდუღებული, დაკიდული სალკლდეებზე. მურის ხიდიდან დავინახე სვანეთის მუდამ თოვლიანი და ცად აწვდენილი მთები, ბუნება, რომელიც მომავალ სტუმრებს გვატკბობდა თავის სიმშვენიერით; ცხენის წყლის მოუსვენარ სიღრმეში, თითქმის ყოველ ვერსის მანძილზე გვხვდებოდა წინაპართა მიერ აგებული ციხე-კოშკების ნანგრევები, ეს ნაშთები ჩვენი ძველი კულტურის, რომლებიც ჯერაც შეუსწავლელია ჩვენი არქეოლოგების—მიერ.

მცხოვრებლებთან ერთად ტაშის ცემით გვხვდებოდენ პაწია მთის ცრემლები—ქვევიდან ქვაზე შვლის ნუკრივით მხტომი ჩანჩქერებიც. რომლებიც ეხვევოდენ დედა ცხენისწყალს და მიისწრაფოდენ შავი ზღვისაკენ.

აქაური მინერალური წყლები შეუდარებელია თავის ღირსებით და არ ვიცი რატომ არ აქცევენ ყურადღებას.

სვანები თავის ახოვანობით ჰგვანან ამ მთებს. ვერ გამოვრკვეულიყავი თუ ეს პატიოსანი მშრომელი ხალხი, რომლის დაუღალავი ენერგია ჰხნავს ამ დაულევ მთებს და მოჰყავს ცხოვრების წყარო, ვინ გააბრიყვა და აღებინა ხელში მახვილი, მაგრამ ეს ხომ რამდენიმე პიროვნების მიერ იყო და არა მთელი სვანეთისა. და აკი როცა გაიგეს სინამდვილე—მორცხვად თავს ხრიდენ სახე აწითლებულნი და მიუჩინეს კიდეც ბინა წამქეზებლებს; როდესაც გაიგეს მუშურ-გლეხური მთავრობის ზრუნვა ყველა მშრომელთათვის.

სწავლის მხრით ჩამორჩენილია ეს კუთხე და ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

ხოხიაშვილი.



შეფის იმედი გვაქვს.

სამოსწავლო ცხენოსან ესკადრონის შეფი სამიწათმოქმედო კომისარიატია. მისი მზრუნველობა ნაწილის მიმართ უთუოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ახალი ამოცანები ესკადრონის სამნეო ნაწილის წინაშე, ახალ ამოცანებს უყენებს ჩვენს შეფსაც. ეს საკითხია სადგომ ბინების დ ყაზარმების შეკეთება, რომელიც მეტის მეტათ დაზიანებულია და მოითხოვს ათეულ მილიონებს, ის ფული რომელსაც გამოიღებს სამხედრო უწყება, საკმარისი ვერ იქნება, რადგან მას სხვაც ბევრი ხარჯები ელის. საჭიროა შეფის დახმარება. საჭიროა შეფმა თვით დაათვალიეროს ჩვენი სადგომები, რომ უფრო დარწმუნდეს დახმარების აუცილებლობაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შეფი თავის მზრუნველობას არ მოგვაკლებს.

ლაშქრელი.

ვინ არის პასუხის მგებელი?

წითელ არმიაში ვმსახურობ დღიდან საბჭოთა წესწყობილების დამყარებისა. მე მომცეს დეკრეტიდან ამონაწერი მოწმობა, რომლის თანახმად ჩემი უმწეოდ დარჩენილი ოჯახი უზრუნველყოფილი უნდა იყოს, როგორც მუშა ხელით, ისე ყოველ მხრივ, მიუხედავათ ამისა თუმცა ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. შვებულებაში ყოფნის დროს მივმართე ადგილობრივ კომიტეტს, სადაც მირჩიეს მიმემართა ჩემ ნაწილში სამნეო ნაწილის უფროსისათვის. ჩემი თხოვნა აქაც რჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.“ მინდა ვიცოდე ვინ არის პასუხის მგებელი?

წ.-არმ. **გვალია.**

ოფიციალური განყოფილება

ყველა სამხკორებს და პასუხისმგებელ სამხკორებს ცირკულიარულად

არმიის ცხოვრების გასაშუქებლად, ჩვენი გაზეთი სარგებლობს ორგვარი მასალით: ა.) შემთხვევით კორესპონდენტ წითელ არმიელებისაგან და ბ.) მუდმივ სამხკორთაგან.

ყოველ შემთხვევაში ჩვენს ნაწილებში დღემდე ვერ გაურკვევიათ სამხკორთა აპარატის დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მათი ჭეშმარიტი დანიშნულება. ხდება არევა ზემო ნახსენებ ორი მცნების, რის გამო ნაწილები, სჯერდებიან რა შემთხვევით კორესპოდენტებს, აღარ ირჩევენ მუდმივ სამხკორებს; მეორე მხრივ შემთხვევითი კორესპოდენტები ითვისებენ სამხკორების ფუნქციებს.

ამ მიზეზების გამო საჭიროდ ვთვლით შემდეგ განმარტებას:

1. წითელ არმიელთა კორესპოდენცია, აცნობს რა გაზეთს წითელ არმიელთა მასის პროგრამას, მოთხოვნილებებს და სულიერ განწყობილებას, ორგანიულად, მჭიდროდ უკავშირებს მას, არმიის შემადგენლობას. ამისთვის ასეთი კორესპოდენცია განსაკუთრებით საყურადღებოა გაზეთში. საჭიროა რაც შეიძლება მეტი რიცხვი წითელ არმიელთა იქმნეს მიჩვეული გაზეთში თანამშრომლობას.

2. თუმცა, როგორც შემთხვევითი, ეს ავტორები ვერ იქნებიან გაზეთის სულის ჩამდგმელნი ინფორმაციის და გაზეთის მასასთან დაკავშირების საქმეში. ეს უკანასკნელი ფუნქციები ევალებათ ასასრულებლად სამხკორებს, რომლებიც თანახმად „დებულებისა“ (დაბეჭდილია „Красн. Боец“-ის № 11-ში) ვალდებულნი არიან რეგულიარულად მიაწოდონ გაზეთს მასალები ჯარის ნაწილის ცხოვრებიდან, მიაჩვიონ არმიელები გაზეთში თანამშრომლობას და აწარმოვონ ადგილობრივი ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.

3.) სამხკორების ამგვარ მეტად პასუხსაგებ უფლებათა და მოვალეობათა გამო, კანდიდატებს ამ მუშაობით სფეროში ნიშნავენ ნაწილის პარტიული ორგანიზაციები (იაჩეიკები, კოლექტივები) ირჩევენ საერთო კრებებზედ და მათი ანკეტის გაცნობის შემდეგ, არჩეულნი ითვლებიან ნაწილის სამხკორებად.

მხოლოდ ასეთი წესი სამხკორთა არჩევისა 1.) აძლევს მას საჭირო ავტორიტეტს ნაწილში, 2.) იფარავს გაზეთს ცრუ და ყალბ ინფორმაციისაგან და 3.) უზრუნველყოფს მთელ ნაწილს ცხოვრების სწორ გაშუქებას.

ზემო აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად და მთელი არმიის სამხკორთა შემადგენლობის გამოსარკვევად წინადადება ეძლევა ბრიგადების და დივიზიების ყველა პასუხისმგებელ სამხკორებს უახლოეს დროში წარადგინონ ბეჭვდითი ბიუროში სიები და ანკეტები სამხკორებისა და პასუხისმგებელ სამხკორებისა (რომლებიც არჩეულნი არიან საერთო კრების და კომიაჩეიკების მიერ.) აღრიცხვაში მიღებულ სამკორთა სიები, რომელთა ანკეტები წარდგენილია ბეჭვდითი ბიუროში, დაბეჭდილნი იქმნებიან „წითელ მხედრის“ უახლოეს ნომრებში

სამხკორთა აპარატის რიგიანათ მოწესრიგებაზედ დამყარებულია ჩვენი გაზეთის წარმატება. ამიტომ ბეჭვდითი ბიურო დარწმუნებულია, რომ პასუხისმგებელი სამხკორები და პოლიტგანყოფილებები სერიოზულად და ბეჯითად შეასრულებენ ზემო აღნიშნულს.

სამხედრო რევ. საბჭ. საქმეთა გამგე: **პოპოვი.**



ახალი მთვარე.

„ბიბლიოთეკაა თუ ბოსელი?“
გაზ. „წით. არ.“ № 98.

ჩვენი ბიბლიოთეკა
ჰგავს ნაგვის ყუთს
არ უფრთხილდებიან წიგნს
ძვირფასს და სათუთს
ბიბლიოთეკის გამგე
შორი შორ დადის
კლუბის გამგესთან იმას
ნეტავ რა სწადის?

ამბობენ ამასთანაო
რაღაც—რაღაცაობს
და ქუთაისის ბულვარს
ლავაშებს აცხობს.

ვით ახალი მთვარე
ჩნდება ნელი—ნელა
მესამე ლეგიონში
„ოდელიი—დელა!“

დაშნა.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორი პ. ქუთათელაძე.